თუ ხალხს ეცოდინებოდა, რამდენი ჯილდო არის აზანში და პირველ რიგში დგომაში, და არ იპოვიდნენ სხვა საშუალებას, გარდა იმისა, რომ წილი ეყარათ, ისინი აუცილებლად წილს იყრიდნენ

აბუ ჰურაირამ (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) გადმოსცემს, რომ შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «თუ ხალხს ეცოდინებოდა, რამდენი ჯილდო არის აზანში და პირველ რიგში დგომაში, და არ იპოვიდნენ სხვა საშუალებას, გარდა იმისა, რომ წილი ეყარათ, ისინი აუცილებლად წილს იყრიდნენ, თუ მათ ეცოდინებოდათ, რა სიკეთე არის ადრე წასვლაში კოლექტიურ ლოცვაზე, ისინი ერთმანეთს დაეჯიბრებოდნენ,თუ მათ ეცოდინებოდათ, რა სიკეთე არის ღამის და განთიადის ლოცვაში, ისინი ლოცვაზე მივიდოდნენ თუნდაც ხოხვით».

[სანდო (საჰიჰ)] [შეთანხმებული]

მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) გვამცნო, რომ თუ ხალხს ეცოდინებოდა აზანის და წინა რიგებში დგომის ღირსება, სიკეთე და ბარაქა, და ისინი ვერ იპოვიდნენ სხვა საშუალებას მათი მიღებისთვის, გარდა იმისა, რომ წილი ეყარათ, აუცილებლად წილს იყრიდნენ, თუ მათ ეცოდინებოდათ, რა სიკეთე არის ლოცვაზე ადრე წასვლაში და მის დროზე შესრულებაში, ისინი ერთმანეთს გაეჯიბრებოდნენ, რათა პირველი ყოფილიყვნენ, თუ მათ ეცოდინებოდათ, რამდენი ჯილდო და მოწყალება არის ღამის და განთიადის ლოცვაში, მათთვის არანაირი სირთულე არ იქნებოდა მათ შესრულებაში, და მივიდოდნენ თუნდაც ხოხვით, როგორც ბავშვი ხოხავს თავისი პირველი ნაბიჯების სწავლებისას.

http://www.sunnah.global/hadeeth/ka/show/65735